

1914

26

М. Я. НИКОЛАИЗЕ

№ 2

12 იანვარი 1914 წ.

ქართული

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==



უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიური

და სალიბერატურო შუხნალი

ფელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-8 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

ამ ნომერთან იგზავნება დამატება - რუკა და ამიტომ ნომერი ეღირება უფელგან 10 კაპ.

ქვემოთ ნომერთან ერთად ჟურნალის ხელის მოწერლებს დაურთავდება „კლდის“  
 კრებია — „მთის არწივი უამი-  
 ლი“ — ალ. ფრონელისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიური

და სალიბერატურო შუხნალი

„კლდე“-ზედ.

ფასი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი უფელგან 5 კაპ.



# რ ე ლ ა ქ ც ი ი ს ა ბ ა ნ



ვაგონებთ რა ხელის მოძვერთ, რომ ზოგიერთზე დარჩენილია 1913 წლის შემდეგ მოსაწე-  
 რი ფასის ნაწილი, ვსთხოვთ გამოგვაგონონ 1914 წლ. ჟურნალის ფასთან ერთად, წინა-  
 აღმდეგ შემთხვევაში შემდეგი ნომრიდან მოგვხატა ჟურნალ „კლდის“ გვაგონა.

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ახალი კურსი. — ა — ისა.
2. მცირე განმარტება. — დ. კ — ისა.
3. ზეპელა, ჭრიჭინა და ხელაგი. — რიშ შაბასი.
4. რა კვმართებს? — რ გ — ესი.
5. ზრესა.
6. ჩვენი და-  
 ნაშაუდი. — ს. დადიანი.
7. უკანასკნელი ამბები.
8. ცოტა რამ ქარ. მეტნ. ტერმინო-  
 ლოგიაზე აღშობაისი.

## ა ხ ა ლ ი კ უ რ ს ი

დიდი ხანია ხმა დადიოდა, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა კავკასიის გუბერნიათა ახალ ადმინისტრაციულ გადამიჯვნას აპირებსო. ჩვენ გვაქვს უკვე საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს ხმა მართლდება. ამ ახალის გადამიჯვნით, ფიზიონომია აღმოსავლეთ კავკასიისა სრულიად იცვლება. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ახალი გადამიჯვნა იმით არის საინტერესო, რომ იგი სრულად თბილისის გუბერნიის ხარჯზედ ხდება. თუ ეს პროექტის სისრულეში მოიყვანეს, თბილისის გუბერნიას შემდეგი რამ ემართება: მას ჩამოეცლება ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები სრულიად და ნაწილი თბილისის მაზრისა. ჩვენ არ შევჩერდებით იმაზედ, თუ რა დეემართება თბილისის გუბერნიას და საზოგადოთ საქართველოს ტერიტორიას ამ ახალის პროექტით. ამ საკითხზე ჩვენი ჟურნალის მეორე წერილში მკითხველი საკმაო მასალას ამოიკითხავს. ამ წერილში ჩვენ გვაინტერესებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ პროექტის განხორციელება ადმინისტრაციული, ეროვნულის და რუსეთის იმპერიის ძირითად კანონების თვალსაზრისის მიხედვით. შესაძლებელია თუ არა ასეთი ოპერაციის მოხდენა ისე, რომ არ შეიღახოს პრინციპი სალ ადმინისტრაციულ დანაწილებისა, ეროვნულ სამართლიანობისა და ძირითად კანონების ხელშეუხებლობისა?

ადმინისტრაციული თვალსაზრისით ასეთი ახალი გადამიჯვნა უგვანო რამ იქმნებოდა. იგი არ

აკმაყოფილებს სულ უბრალო მოთხოვნებს სალ ადმინისტრაციული დანაწილებისას. რომ ავიღოთ რუქა უკვე არსებულ გადამიჯვნისა და აწ განზრახულისა; თქვენს ყურადღებას პირველად მისი ტოპოგრაფია მიიპყრობს. ძველი გადამიჯვნა, ესე იგი უკვე არსებული დანაწილება, სალ ტოპოგრაფიულ პრინციპზედ არის აგებული. საფუძვლად უდევს გავლენა ისეთ ძლიერ ფაქტორებისა გადამიჯვნის საქმეში, როგორც არის მდინარეთა მიმართულება, წყალთ-გამყოფელი ხაზები, ბუნებრივი მიჯნები უღელ-ტეხილთა, ეტნოგრაფიული და ისტორიული შემადგენლობა ადგილებისა და მანძილები ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ყველა ეს დაკულია არსებულ გადამიჯვნაში. შეუძლებელიც არის რომ ეს ასე არ ყოფილიყო. ბუნებრივ პირობებს კაცმა ყველგან ანგარაში უნდა გაუწიოს და მით უმეტეს კავკასიაში. პოლიტიკურსა და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში, ბუნებრივი პირობები ისეთ ძლიერ ფაქტორის როლს იქნება არსად არ თამაშობდნენ, როგორც კავკასიაში. ამ ბუნებრივ ფაქტორთა გავლენით შემუშავდა კავკასიაში მთელი ისტორიული და პოლიტიკური კონიუნქტურა. ეს ფაქტორები იყვნენ, რომ ნებას აძლევდნენ აღმოცენებუ-  
 ლიყვნენ სხვა და სხვა სამეფოები და სამთავროები და ისევე ფაქტორები იყვნენ, რომ ხელს უშლიდნენ იმავე კავკასიის ლფრო დიდი რამ შეექმნა, ვიდრე მას ჰქონდა, ან რასაც ეხლა კავკასიის მთავრობა ამაზადებს. ბუნება კავკასიისა, მდებარეობა მის ხეობათა და მის სიმაღლეთა, მუდამ ბატონობდა სხვა დანარჩენ კომბინაციებზედ და ეს ბატონობა იყო, რომ მის წინ იფუშებოდნენ მრავალი მოსაზრებანი

არა მარტო ცეცხლის წამკიდებელთა და დამპყრობელთა, უფრო ხშირად თვით ადგილობრივ მკვიდრთა, რომელთა იდეალები არ იყვნენ მოკლებულნი საღ გონებას. კერძოდ, თუ ისტორიული საქართველო ვერ გადასცდა თავის საზღვრებს და ვერ შესძლო გაფართოვება, აიხსნება სხვათა შორის იმითაც, რომ მისი საზღვრები მეტად რელიგიური, მეტად ბუნებრივი იყო. და სწორედ ამით აიხსნება რომ, როცა რუსეთი პირველად დამკვიდრდა საქართველოში, მან არამც თუ არაფერი არ ჩამოაყალიბა ადმინისტრატიულად საქართველოს, არამედ, როცა ახალციხის ფაშალიკი წაართვა ოსმალეთს, მისგან ცალკე ადმინისტრატიული ერთეული კი არ დააწესა, ან სხვა გუბერნიას კი არ შეუერთა, არამედ შეუერთა სწორედ თბილისის გუბერნიას.

რას გვპირდება ეხლა ახალი პროექტი გადამიჯენისა, რამდენად აკმაყოფილებს იგი ზემოაღნიშნულ პრინციპს, რომელზედაც სუფევს უმთავრესად ყოველი ადმინისტრატიული დანაწილება? შეიძლება კარგი პროექტების წერა, შეიძლება უგვან პროექტების წერაც, შეიძლება ახალ საზღვრების შექმნა, მაგრამ შეუძლებელია ახალ გეოგრაფიის დაწერა. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტის შემდგენელთ სწორედ ეს არა სასიამოვნო შრომა უდვიათ თავსა. საკმაოა ახალ გადამიჯენის პროექტის რუქას დახედოს კაცმა, რომ მისი შეუსაბამობა ნათელი გახდეს.

უარყოფელია პრინციპი წყალთ-გამყოფელი ხაზებისა, უარყოფელია მნიშვნელობა გაუვალ უღელტეხილებისა, რომლებიც თვითვე არიან ბუნებრივი საზღვრები ყოველნაირ დანაწილებისა და უმთავრესად კი ანგარიშში მიღებული არ არის გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ერთად ერთი ჰქმნის ეკონომიურ ცენტრების მიმზიდველობას, ბაზრებს, გზებს და საყოველღეო ურთიერთობას სხვა და სხვა კუთხეთა შორის. არას ვამბობთ იმ დამოკიდებულებაზედ, რომელიც აღმოცენდება ასეთის პროექტით მომავალ ცენტრებსა და პერიფერიებ შორის. მაგალითად საზღვრები განჯის გუბერნიისა ისეა განზრახული, რომ იგი ქალაქ თბილისიდგან ოთხს ვერსზედ სძევს. ამ რიგად თბილისიდგან ათ ვერსზედ მდებარე სოფელი სოღანლუღი ადმინისტრატიულად ქალაქ განჯას ემორჩილება და ეს იმ დროს, როცა მთელი მიმზიდველობა სოღანლუღის ადმინისტრატიული ეკონომიურის ცხოვრებისა თბილისისკენ არის მიმართული. გაცილებით მეტი მნი-

შვნელობა აქვს იმას, რომ სრულიად ანგარიშში არ არის მიღებული ის საფუძველი, რომელზედაც სუფევს ეკონომიური ცხოვრება ამა თუ იმ გუბერნიისა. კავკასიის ყველა გუბერნიების მდებარეობა ყოფილი სამეფოთა და სახანოთა საზღვრებისა. მარტო ესეც კმარა დასამტკიცებლად, რომ ყველა-ამ გუბერნიაში თავისებური ეკონომიური მდგომარეობა სუფევდა და სუფევს. ეხლაც კი კავკასიის მრავალ კუთხეში ადგილობრივ ადათებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე საიმპერიო კანონებს, და როცა ერთი გუბერნიის კუთხე მეორე გუბერნიაში გადააქვთ, ეს იმას ნიშნავს რომ ერთ ადათს მეორე ადათს უმორჩილებენ. გვეტყვიან, რომ გაუბებრობა ადათთა ნიადაგზედ აღარ მოხდება, რადგან ადათებს ყველგან მალე საიმპერიო კანონები შესცვლიან. მაგრამ ჯერ ეს ერთი ეს იქნება გვიან, მეორედ კი, ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ადათი „კანონზედ“ უფრო მუდმივია. ორი ათასი წელიწადია ქრისტიანობა არსებობს, მაგრამ ცხოვრება აღსაფასებელია წინაპართა მიერ გადმოცემულ წარმართულ ჩვეულებებით, რომლებიც მრავალს შემთხვევაში რეგულიატორობას სწევენ საყოველღეო ცხოვრებაში. ადათის მნიშვნელობა კი ეკონომიურ ცხოვრებაში გაცილებით მეტია ამ ჩვეულებებზედ. თბილისის გუბ. საიმპერიო კანონების გარდა მოქმედობენ ის კანონები და ადათები რომელიც შეიმუშავა ქართულმა სახელმწიფოებრივობამ ისტორიულად. ეს კანონები და ადათები მოითხოვენ თავის თანამედროვე განმოსახულებას და თუ რუსის მთავრობამ მისი გადაწყვეტა აქამდისაც ვერ მოახერხა ამ ადათების და კანონების სამშობლო ნიადაგზედ, როგორ მოახერხებს მის გადაწყვეტას, როცა მას იგი ყოფილ განჯის ან ერევნის სახანოში გადაიტანს. ეს გამოიწვევს მხოლოდ იმ ახალ ინსტიტუტების შექმნას გუბერნიაში, რომელთაც ისინი უწინ არ საქროებდნენ. „პრისუტსტვიების“ შექმნას გლეხებისათვის და დებუტატთა საკრებულოს შექმნას, მაგალითად ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობისათვის, თუ ეს მაზრა, მართლაც ერევნის გუბერნიაში მოექცა. არას ვამბობთ ახალ გაწერილობაზედ ხარჯებისას, ახალ ინსპექციებზედ და ახალ სიების შედგენაზედ, რომელსაც ასე დაამძიმებს ისედაც საქმით დატვირთულ კავკასიის ადმინისტრაციას, რომელიც გვეონია, დრო არის რომ უფრო რეალურ და სასარგებლო რეფორმების შემოსაღებად ემზადებოდეს.

კავკასიის ერთი ინტერესების თვალსაზრისით პროექტი უფრო უგვანო და უსამართლოა. თბი-

ლისის გუბერნიას ეცლება სამი მაზრა: ბორჩალოსი, ახალციხისა და ახალქალაქის და ერევნის გუბერნი აში შედის, რატომ ერევნის გუბერნიაში და არა ქუთაისისაში? საკმაოა რუქას თვალი გადაავლოს კაცმა, რომ ნათელი გახდეს, რომ, ახალციხის მაზრის დასავლეთი ნაწილი სოლოვით არის შექრილი ქუთაისის გუბერნიაში. მაგრამ ზემო დასახლებული სამი მაზრა სწორედ ერევნის გუბერნიას ემატება, რომელთანაც ამ მაზრებს არაფერი საერთო არა აქვთ. აქ იმალება სწორედ ის, რის გულისთვისაც არის განზრახული ზემოაღნიშნული ახალი გამიჯვნა. ამ გამიჯვნას მიზნად კავკასიაში სომხურ ტერიტორიის შექმნა აქვს. კავკასიის მთავრობა ფიქრობს, რომ ყველაზედ უფრო სომხური გუბერნია კავკასიაში ერევნის გუბერნია არის. ჩვენის აზრით ერევნის გუბერნიაში თათრებიც სცხოვრობენ, არიან ქურთები და ეზიდებიც, მაგრამ თუ ეს გარემოება ხელს არ უშლის არც მთავრობას, არც სომხობას ერევნის გუბერნია სომხურ გუბერნიად გამოაცხადოს, ამაზედ ჩვენ არავის არ აუხიბდებით. დეე ასე იყოს! მაგრამ ჩვენ გვაოცებს, რა საჭიროა ისედაც არსებული ეროვნული სიჭრელე კიდევ გართულებული იყოს იმ გარემოებით, რომ ერევნის გუბერნიას სამი ისეთი მაზრა მიეწერება სადაც უმრავლესობა არა სომხურია. მთავრობა ამით არაფერს არ მიაღწევს, სომხები კი სწორედ წინააღმდეგს. რანაირიც უნდა იყოს ეხლა ერევნის გუბერნიაში ერთა განწყობილება, ერთი რამ ცხადია, უმრავლესობას იქ სომხები წარმოადგენენ და ერევნის გუბერნიასაც სწორედ ეს გარემოება ხდის სომხურ გუბერნიად. მაგრამ საკმაოა მას ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები მიუმატოთ, რომ არა სომხური ელემენტი გუბერნიაში ისე გაიზრდება, რომელთანაც შედარებით სომხები ისეთ დიდ უმრავლესობაში აღარ იქმნებიან. სამ ზემო დასახლებულ მაზრაში უმრავლესობას ქართველობა (ქრისტიანი და მაჰმადიანი) თათრობა, თურქობა, ბერძნობა, რუსობა და სხვანი შეადგენენ. მაშ, შეიძლება განა სომხურ უმცირესობის გულისთვის უმრავლესობის ინტერესი დაიჩაგროს, იმ უმრავლესობის, რომლებიც ისტორიულად შედუღებულნი არიან თბილისის გუბერნიასთან, როგორც ნაწილები ერთის მთელისა. არსებობს განა აქ ის ერთობა კულტურისა, რომელიც შეადუღებს მომავალ ერევნის გუბერნიაში ამ ერებს? ჩვენ ფიქრობთ რომ არა და ასეთი გადაყვანა მთელის მაზრებისა ერთის გუბერნიადგან მეორე

გუბერნიაში, ამ მაზრების არა-სომხურ ელემენტებს, მხოლოდ სომხურ კაპიტალის, სომხურ ენის და საზოგადოთ სომხურ კულტურის გავლენას უმზადებს. ექვი არ არის ასეთ არმენიზაციას ურთივნი უშუალო და უფოთი მოჰყვება, რომლის შედეგებიც ეხლავე აღვილად წარმოსადგენია. ეს ბრძოლა უნდა დამთავრდეს ან ამ არა-სომხურ ელემენტების სრულის გასომხებით, ან მათი გამოდევნით იქილგან. მაშ რა საჭიროა ამ ერების ისეთ გუბერნიაში მოქცევა, საილგანაც ისინი ახლო მომავალში გამოდევნილი იქმნებიან?

ყველა ეს მაზრები ისტორიულად და რეალურადაც ქართული პროვინციებია. ახალციხის მაზრაში სულ რამდენიმე სომხური სოფელია, ახალქალაქის მაზრაში კი სომხები 1829 წლ. დასახლდნენ და ვიცავენ ეინტერესება, თუ როგორ დასახლდნენ, მიმართონ ქრ. ვერმიშევის გამოკვლევას. მხოლოდ ერთი ბორჩალოს მაზრაა სადაც ზოგიერთ ადგილებში ისტორიულად სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ სომხები, მაგრამ ფაქტიურად ბორჩალოს მაზრა ქართველ თავად-აზნაურობის კუთვნილებაა, კუთვნილებაა ქართველ და თათარ მემამულეებისა, რომლებიც, მარტო მიტომ რომ მათ მამულზედ აქა-იქა სომხებიც სცხოვრობენ, არ მოისურვებენ ამ სომხებს გაჰყვინენ ერევნის გუბერნიაში სომხური ტერიტორიის შესაქმნელად. თუ საქმე იმაზედ მიდგა, რომ კავკასიის მთავრობას მართლა სურს გამოიკვლიოს რომელ ერს ეკუთვნის ბორჩალოს მაზრა, მაშინ ეს საკითხი უნდა გადასწყდეს საკუთრების უფლების თვალსაზრისით და არა იმის მიხედვით, თუ ვისთვის უფრო სასარგებლო იქმნება ბორჩალოს ან ახალციხის მაზრა? ერთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა მოუაროთ საკითხს, თქვენ ვერ ნახავთ მთავრობის განზრახულებაში სად აზრს, გარდა იმისას, რომ კავკასიის მთავრობა სომხებისთვის კავკასიაში ტერიტორიას ეძებს. მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ჩვენ არ გვესმის, რა სარგებლობა უნდა ნახოს მთავრობამ იმაში, რომ ასე უღვივებს თავის მორჩილ ერს ისტორიულ და პოლიტიკურ მადებს.

განვიხილოთ ეხლა კავკასიის მთავრობის განზრახულება იმპერიის ძირითად კანონების თვალსაზრისით. როგორც ზემო ნათქვამიდან სჩანს ეს ახალი გადამიჯვნა ფაქტიურად საქართველოს ხარჯზედ ხდება. საქართველოს რუსეთთან ერთობა კი განსაზღვრულია ხელშეკრულებით, რომელიც შეტანილია იმპერიის ძირითად კანონებში. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი მოვალეა დაიცვას საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა. დედა აზრი 1783

წლის ხელშეკრულობისა იყო არა მარტო არსებულ მდგომარეობის დაცვა და მფარველობა, რუსეთი მოვალე იყო დაებრუნებინა ის პროვინციებიც, რომლებიც ოდესმე საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ. ეს გახლავთ ერთგვარი კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიისა და როდესაც ეხლა ძველის ძველ ქართულ პროვინციებს კავკასიის მთავრობა სომხებს აძლევს ტერიტორიის შესაქმნელად, დარღვეულია კონსტიტუცია, ძირითადი კანონები იმპერიისა. 1783 წლის ტრაქტატი უფრო მეტს უფლებას აძლევს რუსეთს ზოგიერთ ოსმალთს პროვინციებზედ, სახელდობრ ოსმალთს ლაზისტანზედ, როგორც ყოფილი ქართულ პროვინციაზედ, ვიდრე ბერლინის ტრაქტატი 1811 წლისა, სადაც ნაჩვენებია უფლებანი ოსმალთს სომხეთისა და არა კავკასიის სომხებისა. მაგრამ ფრიად სასაცილო იქმნებოდა, თუ მთავრობა ოსმალთს საქართველოს გულისთვის აქ კავკასიაში სომხების ჩაგვრას და გაქრობას მიჰყოფდა ხელს. ნამდვილად კი მთავრობა ეხლა სწორედ ამას სჩადის ქართველების მიმართ. რასაკვირველია, ასეთი კურსი მავნებელია. მთავრობა ეხლა სომხებს ელაქუცება, მაგრამ ყოველი ლაქუცი მუდამ დროებითია. ღირს განა ასეთ სასწრაფო და საბედისწერო ზომების მიღება ისეთ საქმეში, რომლის შედეგი ჯერ კიდევ პრობლემატიურია? ოსმალთს სომხეთის საკითხი შეიძლება ურუსეთოთაც გადასწყდეს და ხელოვნურად შექმნილ რუსულ სომხეთის არსებობამ კი სულ სხვა კომბინაციები წარმოშვას. თუ ეხლა რუსეთი იცავს ოსმალთს სომხეთს, შეიძლება ისეთი გარემოება შეიქმნეს, რომ შერე ოსმალეთმა მოინდომოს რუსულ სომხების ინტერესების დაცვა. და ასეთი პერესპექტივა არასოდეს არ უნდა იყოს მოულოდნელი ის, რასაც თანამედროვე დიპლომატების ენაზედ არმენია ჰქვიან ოსმალეთშია. ოსმალეთშია აგრედვე სომხობის უმრავლესობაც. საკმაო ოსმალთს სომხებმა ავტონომია მიიღოს და აღორძინებული სომხეთი უპირველესად თავის ნაწილების შეგროვებას მიჰყოფს ხელსა. და თუ ასეთ პოლიტიკურ კონიუნტურის დროს კავკასიაში სომხური ტერიტორია აღმოჩნდა, არ მოისურვებენ განა სომხები მასთან გაერთიანებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოისურვებენ და სწორედ ისე, როგორც ეხლა რუსეთია ოსმალთს სომხებისათვის თავგამოდებული, შესაძლებელია ასევე გამოიღოს თავი ოსმალთს რუსულ სომხეთისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთი მაშინ თითონ დაიწყებს იმის მტკიცებას რომ ხელოვნურად შექმნილ და ეგრედ წოდებულ „რუსულ სომხეთში“ სამი მაზრა საქართველოს ყოფილ სამეფოს ისტორიული ნაწილებია. ეს იქმნება სამართლიანი დაცვა რუს-ქართულ ინტერესებისა, მაგრამ ვაი, თუ ეს დაცვა ნაწილი იყოს?

ა - ი.

## მცირე განმარტება

ამ ორიოდ თვის წინად ჟურ. „კლდე“ გამოაქვეყნა „სასენსაცო ამბავი“, რომელშიაც აცნობა ქართველ საზოგადოებას, რომ ერევნის და განჯის გუბერნიების საადმინისტრაციო წრეებში სანამესტნიკოდან მიღებული იყო განსახილველად პროექტი ამიერ კავკასიის გუბერნიების საზღვრების გადამიჯვნისა. ამ ამბავს თან ახლდა ჩვენი დაპირება მკითხველისთვის დაწვრილებითი ცნობების შეკრებისა და რუქის დაბეჭდვისა. ეს ზ თვეა ჩვენი რედაქცია სცდილობდა ამ სერიოზულ საკითხის გამო მასალების მოგროვებასა, მაგრამ რადგანაც აქამდის ამ საკითხის გარშემო მუშაობა მეტად კონფიდენციალური იყო, ამიტომაც დროზედ ვერ შევასრულეთ ჩვენი დაპირება. დღეს კი მივიღეთ დაწვრილებითი ცნობანი ამ პროექტისა, რომელიც ზემოხსენებულ გუბერნიების საგუბერნიო თათბირებზედ კიდევ ოფიციალურად განხილულია და შედგენილია საპროექტო რუქაც. ეხლა ვბეჭდავთ ამ რუქას (იხ. დამატება) და ზოგიერთ საჭირო ცნობებს.

ერთი წელიწადია, სომხურ პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეებში დაიბადა აზრი ამიერ კავკასიაში სომხების მოსახლეობის მიხედვით გადამიჯნონ ამიერ კავკასიის გუბერნიების საზღვრები და შემოფარგლონ სომხების ტერიტორია. შეიმუშავეს პროექტი, სანამესტნიკომ ეს პროექტი პრინციპიალურად მიიღო და ერევნის და განჯის საგუბერნიო ადმინისტრაციას განსახილველად და ადგილობრივ გამოსაკვლევად გადასცა. წარსულ დეკემბერში ელისავეტპოლში მოხდა საგუბერნიო თათბირი, სადაც განიხილეს ეს პროექტი და სხვათაშორის დამსწრე ადმინისტრატორების უმრავლესობამ მის წინააღმდეგი აზრი გამოხატვა და შეუძლებლად სცნო ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება.

მიზეზები ამისა ბევრი ყოფილა — გეოგრაფიული, ეკონომიური და როგორც ზოგიერთმა სთქვა

— ეს იქნება „სომხეთის ავტონომია სხვის ხარჯზე“-ო.

მართლაც თუ დააკვირდებით რუქას, თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ სომხის პოლიტიკოსების მიზანი—სომხობის ეტნოგრაფიულ-ტერიტორიალურ რუქის შექმნას განსაკუთრებულ საადმინისტრაციო მართველობის ქვეშ.

ამ პროექტით ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები გადადიან—პირველი ყარსის ოლქში და ორი მეორენი — ერევნის გუბერნიაში. მასთან განჯის გუბერნიას ეჭრება ის დასავლეთი კუთხე სადაც უმეტესად სომხობა მოსახლეობს. და ეს ნაკლი განჯის გუბერნიას ევსება თბილისის მაზრის 1/3 ნაწილის გამოჭრით.

ამ რიგად თბილისის გუბერნიას ეს პროექტი სჭრის:

ახალციხის მაზრას —	247,672	დესეტინას
ახალქალაქის „	292,611	„
ბორჩალოს „	641,280	„
და თბილისის მაზრის 1/3	141,176	„

სულ . 1.323,317 დეს.

ეს მშვენიერი და მდიდარი ნაწილები საქართველოსი დიდ მადას უღვიძებენ ჩვენ მეზობელ პოლიტიკოსებს... ვისარგებლოთ სომხობის შესამჩნევ მოსახლეობითაო და სომხების გუბერნიებს (ყარსის და ერევნის) საზღვარი ჩრდილოეთს გადავიტანოთო და ეს მაზრები შიგ მოვაყოლოთო.

სომხების მოსახლეობა ამ მაზრებში შემდეგში გამოიხატება.

ახალციხის მაზრაში—93,000 მცხოვრებთაგან 28,996 სომეხია (მათ შორის 20,000 ახალციხეში სცხოვრობს.)

ახალქალაქის მაზ.—102,000. — 76,000 სომეხია.

და ბორჩალოში—167,000 მცხოვრ.—65,000

ს უ ლ 362000 მცხოვრ. სომხები 169,996.

ამ რიგად მიუხედავად იმისა, რომ ამ მაზრების უმრავლესი რიცხვი მცხოვრებლებისა არიან. ქართველნი,—მაჰმადიან რჯულისა, მართლმადიდებელნი, კათოლიკენი; დუხობორები, ქურთები, თათრები, ბერძნები, გერმანელები, რუსები, მაინც იმედი აქვთ ეს მაზრები თბილისის გუბერნიას ჩამოაშორონ.

ჩვენს დღევანდელ მოწინავე წერილში ბ. ა. ი დაწვრილებით არკვევს თუ რა აბსურდამდის მისულა აგრესიულ პოლიტიკოსობა სომხის ბურჟუაზიისა.

დ. კ. ლი.

# პეპელა, ჭრიჭინა და ხელიკი

(ა რ ა კ ი) 

პეპელა ბალში დაფრინავდა. „მან ყველის ეკონებოდა; ხან მეორეს. მისს ბროლის ფრთებზედ ლალი და ზურმუხტი კრთოდა. შვენოდა კეკლუცი, (ველქი, კისკასი.

ბუჩქის ძირს პირშავი ჭრიჭინა ლამაზ პეპელას თვალ-მოხიბლული უცქერდა. შენატროდა: „აბა, ბედნიერი სიცოცხლეც ეგეთი უნდა! თორემ ჩემსავითა გონჯისა და ქვემძრომის სიცოცხლე რა სანატრელია?“

სხვაგნით იმავ პეპელაზედ ხელიკს სიხარბით სავსე თვალი ეჭირა და გულში ამბობდა: „ოლონდაც, გემრიელი ლუკმა ხარ, მაგრამ ვაი რომ ვერ მივწვდებიო!“

ამ დროს მოვადრა ბავშვების გროვა. დაინახეს პეპელა გამოუდგნენ, ქუდი ესროლეს და დაიჭირეს. ყველას თავისთვის უნდოდა: ზოგმა ფრთას წააელო, ზოგმა თავსა, ზოგმა ფეხსა და გაგლიჯეს პეპელა.

ეს რომ ნახა ჭრიჭინამა, ამოიოხრა და დაიჭრიქინა: „მართლა თქმულა ბრძენთაგან: ბედნიერი ცხოვრება თუ გინდა, დამალული იცხოვრეო.“

ხელიკს მოესმა ჭრიჭინი, თვალი მოჰკრა ჭრიჭინასა. სთქვა: იმ პეპელას რას ვუცქერდი, ჩემი საკბილო აქ ყოფილაო.“

ეცა ჭრიჭინასა და ჩაყლაპა.

მახლას, ყველა მწერს თავისი მტერი ჰყავს.

რიშ ბაბა.

## რა გემართებს \*)

საფრთხე ჩვენის ტერიტორიისა იმაში კი არ არის, რომ მაზედ ნაკლები ცნობები ან „იდეები“ მოგვეპოვება, არამედ უმთავრესად იმაში, რომ არც ერთი ორგანიზაცია არ არის, რომელიც კისრულობდეს ამ საკითხის მოგვარებას და გაძლოლას. ეს საკითხი მეტად მწვავეა, და მთელი საზოგადოება, პრესა უკანასკნელის დროისა იწუხება შველას და რეალური საშველი კი ჯერ არსადა სჩანს... ჩვენ ვჩივით, ან მშვენიერ პროექტებს ვადგენთ ბანკებისას, მედიოორაციისას, სასოფლო მეურნეობის აყვავებისას და სხ. და სწორედ ამ დროს მიწა მი-

\*) იხ. № 39, 40 წარსული წლისა.

დის და მიდის სხვისა ხელში. საზოგადოთ ყველა ჩვენი საქმე, როგორც უფლებოა ერისა, რომელსაც არ შეუძლიან ძალით გაიმაგროს ის, რაც გასამაგრებელია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ამისათვის მრავალი სახსარი მოეპოვება, — იმისაგან არის წამხდარი, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები არა გვყავს იმისთანა, რომელნიც **აღმასრულებელ** როლს იღებდნენ თავზედ იმ მოსახრებათა და იდეათა, რომელნიც პრესის თუ საზოგადო აზრის საშუალებით, იბადებიან და სამშობლოს საკეთილდღეოდ არიან მიმართულნი.

თავი და თავი — **ორგანიზაცია** არის. ამისათვის ეჭიდებოდა ჩვენი ჯგუფი იმ ჩანასახს საადგილ-მამულო ორგანიზაციისას, რომელსაც ჰქვია „საადგილ-მამულო კომისია“. ჩვენს ყოფაში მყოფთათვის, რომლებსთვისაც არამცოთუ განსაკუთრებული უფლებანი არ არსებობენ, არამედ სხვა ერებთანაც არა ვართ გათანასწორებული — არა გვაქვს ერობაც კი — ჩვენ ვამყარებდით იმედს თავ.-აზნაურობის ორგანიზაციაზედ, რომლის მოქმედებაში, უკანასკნელი მ — 1) წლის განმავლობაში ბუნებრივად ისახებოდა, იმდენად არა ეროვნული, რამდენადაც საერო ბო მიმართულება. თავ.-აზნაურობა ერთად-ერთი რეალურად არსებული ფაქტორია ჩვენს ახლანდელ ცხოვრებაში, რომელსაც ძალა შესწევს თავისუფლად მოაწყოს იმგვარი ორგანიზაციები, რომელნიც იხსნიდნენ ჩვენს ქვეყანას გაბოვანოვებისაგან. რომ ეს რეალური მოსახრებაა და არა „თავად-აზნაურული ფსიხოლოგიით გაქდენთა, როგორც ბეცნი გვწამებენ, ამას შემდეგ მოსახრებათა კომპლექსით ვამტკიცებთ:

1) ჩვენი მიწადმფლობელობა უმთავრესად თავად-აზნაურულია და მისი ლიკვიდაცია, ჩვენივე გლეხობის ხელში გადასვლით უფრო ადვილად (და იქნება ერთად ერთი საშუალებაა) შესაძლებელია თვით თავ.-აზნაურულ ორგანიზაციის შექმნით. არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ჩვენი თავ.-აზნაურობა, როგორც ერთეული, როგორც დაწესებულება — გაცილებით უფრო ლიბერალურია, ვიდრე იგივე თავ.-აზნაურობა, როგორც ცალკე პირები. თავ.-აზნაურობა, როგორც ერთეული, არც ეროვნულ გრძნობასაა მოკლებული და მისი შეგნებული ნაწილი, პრესის, საზოგადო აზრის ზეგავლენით მთელს თავის მატერიალურ ძალას, ეროვნულ საქმეებს აღევს. ამ მდგომარეობით არ შეიძლება არ ისარგებლოს საღი მსჯელობის მექონემ, და არ გამოიყენოს იმ მხრივ, რომ თავ.-აზნაურობის შემწეო-

ბით მოხდეს ხოლმე ლიკვიდაცია მსხვილ მიწადმფლობელობისა. ფსიხოლოგიურად, მსხვილი მემამულე დაკავშირებულია უფრო თავ.-აზნაურობასთან, როგორც ერთეულთან, ვიდრე სხვა რომელიმე (ჯერ არ არსებულ) ორგანიზაციასთან. იქნებოდა და ანტიომ პოტენციაში დიდი შესაძლებლობაა ეს ფსიხოლოგიური განწყობილება შეგნებულად გამოვიყენოთ. მაგალითებისათვის შორს არ წავალთ და თუნდა სწორედ ის აშურიანიც, რომელიც უცხოს ხელში გადავიდა, სულ ადვილად შეიძლება და იმავ მეტეხელების ხელში დარჩენილიყო, რომ შესაფერი ორგანიზაცია დროით მიშველებოდა. ესევე ითქმის კენელის მამულზედ ბორჩალოში, ესევე ითქმის ორბელიანთა მამულზედ, რომელიც მოკლე ხანში გაიყიდება ისევ უცხოელზედ და პატრონი კი არა ჰყავს. ესევე ითქმის საციციანოზედ, რომელიც დღეს-ხვალ დაიფლითება. ესევე ითქმის... მაგრამ მაგალითებს ნუ გამოუდგებით. ჩვენ საკუთარის გამოცდილებით ვიცით რა ადვილად და სწრაფად ხდება ლიკვიდაცია თავ.-აზნაურულ მემამულეობისა ჩვენივე გლეხობის ხელში, როცა დროზედ შესაფერ საშუალებას მიაშველებ. ამისათვის სულ მცირედია საჭირო; თანხაც და ფსიხოლოგიური მომზადებაც საკმაო აქვს თვითვე გლეხობას, როდონდ პატრონი არა ჰყავთ, გაძდოლი. პრესა რომ ხელმისაწვდომი იყვეს გლეხობისთვის, იქნებ ესეც საკმაო საშუალება ყოფილიყო მაგრამ ეს, საუბედუროდ ასე არ არის.

მეორე მოსახრება ის გახლავთ, რომ არც ერთ წოდებას არა აქვს ის უფლება თავისუფლად გამგებლობისა საკუთარის საქმეებისა, როგორც თავ.-აზნაურობას და ეს მეტად მძლავრი იარაღია ჩვენი მიზნისათვის ბრძოლაში. ვერც ერთი არსებული საზოგადოება, ბანკი ან სხვა რამ დაწესებულება ვერ იკისრებს, — რომ კიდევ შეეძლოს, ტერიტორიალურ საქმეთა გაძლოლას, რადგან ეს ისეთ ელფერს დაადებდა მათ, რომელიც რუსეთის სახელმწიფოში ისჯება, როგორც „სხვის საქმეში ჩარევა“; იურიდიული სტატუტია ესა. ამ მხრივ თავ.-აზნაურობას კი თვით იმპერატორისაგან უმაღლესად ნაბოძები უფლება აქვს: „იზრუნოს მიწადმფლობელთა და მიწადმომქმედთა ინტერესებზედ“. ეს ძალოვანი იურიდიული თანხა, თუ ითქმის ასე, პრივილეგია თავ.-აზნაურობისა, სრულ უფლებას აძლევს ორგანიზაციასა თა საშუალებითაც იზრუნოს ხალხზედ, იმ მასაზედ, რომელზედაც განსაკუთრებით

უნდა დავამყაროთ ჩვენი მომავალი. მომუშავე — გლეხობა — აი ის ელემენტი, რომელიც არასოდეს არა მდგარა და არ შესდგება გადაგვარების გზაზედ, თუ ზურგი პატარა გამაგრებული აქვს იმ მიწით, საიდანაც იგი სწოვს სასიცოცხლო ძალას. გლეხს არ შეუძლიან გადაადგოს, შექამოს მიწა ისე, როგორც ჩვენს ბრწყინვალე თავ.-აზნაურობას, რომელსაც მიწა არ უყვარს და ვერც ეყვარება, რადგან მისი მოვლა, მისი გეგმა არ იცის და უბედურება კი იმაშია, რომ სწორედ მარტო ასეთს გათახსირებულს, გადაგვარებულს და მიწის ფასის არა-მცოდნე თავ.-აზნაურებს უკავიათ იგი მთლად. ჩვენ თვალწინ საშინელი ბოროტება ხდება: ჩვენს ერს, როგორც ერთეულს, ფეხქვეშ დანაცლიან ათასობით დესეტინა მიწას, საფუძველს არსებობისას, არა იმდენად მანთაშევეები, არამიანცები და სხ. რამდენადაც თვით ჩვენი დეგენერატიული თავადები და აზნაურები. ეს პროცესი ბუნებრივად ხდება და მით მეტი ძალა და უნარი გემართებს დროით გამოუნახოთ საშველი. და ეს საშველი — ისევ ორგანიზაცია არის.

ყველა ორგანიზაციას, და ნამეტნავად საადგილ-მამულოს, სჭირია არა მარტო იურიდიული უფლება და კარგი სურვილი, არამედ მეტერიალური საღსარიც. ამ მხრივ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს ამისათვის ფულის გაღება და ღალატის ნაციონალურ თანხაზედ, რომელიც შეიძლება შესდგეს ერთმანეთზედ გაწერით — ჯერ უბრალო ფანტაზია არის. თავ.-აზნაურობას კი არამცთუ აქვს საკმაო თანხა საზოგადოათ, თვით ამ კერძო საკითხისათვისაც, საადგილ-მამულო საქმისათვის, დაარსებული აქვს სასოფლო სამეურნეო თანხა, რომელიც ყოველ წლივ იზრდება და აქამდის კი იფანტებოდა და იფანტება გამოუსადეგრად. ყოველ შემთხვევაში მცირედის გამოყენებით.

ამ წერილში არ გვინდა ჯერჯერობით შევჩერდეთ იმ საგლეხო სამეურნეო თანხაზედ, რომელიც შენახული აქვს ჩვენს გლეხობას ხაზინაში და კი ვერ იყენებს, უპატრონობისა გამო.


ყველა ამის შემდეგ, ვართ თუ არა მოვალენი მოვსთხოვოთ თავ.-აზნაურობას, სწორედ ასეთს ტაციობის დროს მოიყვანოს მოძრაობაში, მთელი თავისი თანხა თუ არა, მთელი სამეურნეო თანხა მაინც — მდგომარეობის დასაცავად? ყველა ამის შემდეგ მოვალეა თუ არა, თვით თავ.-აზნაურობაც, დაარღვიოს დამყარებული განცხრომა და თანხას, დაარსებულს მი-

წის ინტერესებისათვის, შესაფერი მიმართულება მისცეს? ჩვენა გვკონია — და რამდენიმე წელიწადია ამისათვის ვიბრძვით — რომ თავად-აზნაურობამ, როგორც ერთეულმა, თავის დებუტატურ საქმეებულოს და საზოგადო კრების სახით, ფარტოდ უნდა გაუღოს კარი ამ იდეას და ის ჩანასახი ორგანიზაციისა, რომელსაც საადგილ-მამულო კომისია ჰქვია, გააძლიეროს, როგორც თანხით ისე, უმთავრესად, „პირთა კოეფიციენტით“, ე. ი. მომუშავეთა რიცხვით და ხარისხით. მაგრამ საკმარისი ხომ არაა ორგანიზაციის არსებობა, — ასეთი ორგანიზაცია ეხლაც არსებობს, — მას უნდა გარკვეული პროგრამა ჰქონდეს მოქმედებისა და არა მარტო მიზანი ნათელი. ამ პროგრამის ორ უმთავრესს მუხლზედ ჩვენ რამდენჯერმე მიგვითითებია საზოგადოებისათვის და, საბედნიეროდ ქუთათური პრესაც, რომელიც უკანასკნელ დროს ჰეშმარიტ ალღოს ართმევს ჩვენს ღუბჭირ მდგომარეობას, — ამავე იდეებს იზიარებს და იცავს. წრევანდელი „ერი“ ამ მხრივ ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ხოლმე და სხვათა შორის № 4-ში სწერს იმერლობის გადმოსახლებაზედ, როგორც ერთ-ერთ საშუალებაზედ ტერიტორიის დაცვისა. ეს აზრი ფრიად საყურადღებოა, თუ ამას შეუფარდებთ საზოგადოათ ჩვენი ქართველი გლეხის დაბეჩავებულ მდგომარეობას და მსხვილ მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას შეუწყობთ ხელსა.

„ჩვენ ვფიქრობთ, — ამბობს ერი, — რომ თბილისის თავად-აზნაურთა დებუტათა საკრებულოსთან არსებული საადგილ-მამულო კომისია ბევრს გააკეთებს, თუ სურვილი ექნება.“

„ერთან“ ერთად ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ კომისიას დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან და ამიტომ უფრო გვაკვირვებს, რომ საადგილ-მამულო კომისიის ის სარეორგანიზაციო პროექტი, რომელიც დიდი ხანია შემუშავებულია და დებუტათა საკრებულოსაგან უკვე მიღებული — უქმად რჩება ამისთანა გაჭირებულ დროს, როცა ერთი კა არა, ასი ორგანიზაცია უნდა გვქონდეს ასეთივე მიმართულებისა. ვგონებთ დრო არის აღარ აყოვნებდეს საკრებულო ამ პროექტის განხორციელებას, ხალხის საკეთილდღეოდ... და არა მარტო თავმომწონებდეს „ბრწყინვალე ბალით“ რომელსაც თავისი მნიშვნელობა ეკარგება იმით, რომ გვაგონებს „ნადიმს ეამთა შინა ჭირისასა“ — *пиръ во время чумы*. საზოგადოება ელის სიტყვას დებუტათა საკრებულოსაგან.

რ. გ.



# პ რ ე ს ა

გაზ. „ერის“ მე-3 ნომერში მოთავსებულია ერთი საგულისხმო პატარა წერილი ვინმე „დალი“ სა, სადაც ავტორი სწერს ჩვენში ზომიერი მიმართულების, არა სოციალისტური ჯგუფის საჭიროების შესახებ და სხვათა შორისა ამბობს:

...„რომ ჩვენ ნორმალურ კლასობაში ჩავდგეთ, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება წაღმართიანად წავიდეს, საჭიროა საქართველოში არა სოციალისტური ელემენტების შეკავშირება ერთ ძლიერ პრაქტიკულ ნიადაგზე მომქმედ პარტიად. თანამედროვე ურთიერთობაში, როცა საზოგადოებრივობის ქვაკუთხედი ეკრძა საკუთრებას და სახელმწიფოთა სოციალისტები პისუხის მკებელ ეროვნულ ძადად ვერ გამოდგებიან, რადგან, რაც უნდა სთქვან, არსებობს საკითხები, რამდენადაა გადაწყვეტა სოციალისტურის თვალსაზრისით ეროვნულის მთლიანობისთვის მანებელია. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული პარტიების მოქმედება უფრო მისან-შეწყობილი იქნება... მეტა გამბედაობა, მეტი საქმიანობა და დამოუკიდებლობა ვუსურვოთ არა სოციალისტურ პარტიის შექმნაში ჩვენს დემოკრატიულს ინტელიგენციას. ვუსურვოთ რომ ისინი ჩამომორდნენ სოციალისტურ ჯგუფებს, ამით სოციალისტური პარტიების შემადგენლობაც გაიწმინდება და პრაქტიკულ ნიადაგზე, არსებულ ურთიერთობაზე დამუარებული ჯგუფი გაძლიერდება, ბოლიტიკურ სახეს მიიღებს. მაშინ იგი შეიქმნება ჩვენში პისუხისმკებელ ძადად, ურთიერთობად წარმოდგენილია ერის საზოგადოებრივი წინსვლა.“

სრული ჭეშმარიტებაა, რომ არსებულ ურთიერთობაში ძლიერი ბურჟუაზია, ეროვნული კაპიტალი, ეროვნულ ნიადაგზე ძალდაუტანებლივ შედგენილი, დიდი სარფაა ერისათვის, რამდენადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ერი როგორც მთლიანი ერთეული. სრული ჭეშმარიტებაა, რომ „არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სოციალისტურის თვალსაზრისით ეროვნულის მთლიანობისათვის (sie!) მანებელია“, და უნდა, არსებობდეს ისეთი, ვსთქვათ, პარტია, რომელიც კონკრეტულ საკითხებში, საქმიანობის დროს უმაღლესი, სოციალისტური პრინციპებით არ იყოს ხელ-ფეხ შეკრული; მაგრამ ელემენტები თვით ინტელიგენციაში ნაკლებია ფრიად, რადგან იგი თავის შემადგენლობით მთლად თავად-აზნაურულია და ეხლანდელ პირობებში სოციალიზმს უფრო ეგუება, რადგან უკანასკნელი უმო-

ქმედობის ფარგალშია მოქცეული. ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა კი, ოღონდ თეორიულად ალაპარაკე — საუკეთესო გეგმებს, თვალსაზრისს, მსოფლმხედველობას შეიმუშავენს და მათზედ გაიყინება, რადგან თავად-აზნაურული სინხლი მოდუნებულია საუკუნოებით და ნათქვამის, ნათქვალის, ან თუნდა სურვილის სისრულეში მოყვანა არ ძალუძს) ამას ყოველ დღე, ყოველ საკითხში ვხედავთ; ეს იქნება მისი, თავად-აზნაურული ინტელიგენციის ტრაგედიაც არის, მაგრამ ეს ასეა, საუბედუროდ. ამიტომ ყველა ის ელემენტები რომელთაც სწამთ რამე კიდევ საქართველოს ეკონომიური და სულიერი კულტურის აღორძინებისა — უნდა შეკავშირდნენ იმისათვის, რომ ხალხი აამოქმედონ. ხალხშია ის ცოცხალი ძალა, რომელმაც უნდა თავის ზურგით ზიდოს ტვირთი ჩვენის მომავალისა.

მაშასადამე ეროვნულ კულტურულ ნიადაგზე თვით ხალხი უნდა დადგეს. იგი, შეუძლებელია კიდევ ეროვნულ ნიადაგზე არ იდგეს, მხოლოდ დემოკრატიულ ინტელიგენციის მოვალეობაა ეგ პოტენციაში მყოფი ძალა გამოაშკარაოს, შესამცნობ ფორმაში ჩამოაყალიბოს და ნაციონალურ საჭირობოროტო საკითხებს დემოკრატიულის გულის სიწმინდით ემსახუროს.

ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ მას არაერთხელ დაუბრუნდებით ახლო მომავალში.

\* \* \*

„ხაკავ. რეჩის“ სამ იანვრის ნომერში დაბეჭდილია წერილი ერთი სირიელისა, სადაც იგი სირიელთა მდგომარეობას ეხება და სხვათა შორისა სწერს:

„ნუ თუ შესაძლებელია კაღმის ერთი მასმით ცხოვრების ფხინიდან მთელი ერი გამოვიცხოვოთ, ერი რომელიც დღეს-დღეობით სდუმს, მაგრამ მუდამ აგრე დადუმებული არ იქნება? ნუ თუ შესაძლებელია სამხეთის მოწყობის ცდაში დაივიწყონ რომ 700.000 სომხის გვერდით მილიონზე მეტი სირიელი ცხოვრობს, რომელთაც სურთ საკუთარი კულტურული ცხოვრება ჭქონდეთ და არა სურთ არც გაათარება და არც გასომხება?..“

უნდა შევნიშნოთ სამართლიანად გულდაწყვეტილს პატრიოტს, რომ თანამედროვე საერთა-შორისო ურთიერთობა სამართლიანობის საზომით კი არ იზომება, არამედ საკუთარი სარგებლობისა, და ევროპა და რუსეთი დღეს იმიტომ არ აქცევს ყურადღებას სომხებთან ერთად სირიელებსაც, რადგანც იმათ გამოქმნაგებაში ვერაფერს სარგებლობას გამოიტანს.

„დღეს-დღეობით სდუმსო“, ამბობს ავტორი სირიელების შესახებ და მათი უბედურებაც ეგ არის. უნდა ყველას გვახსოვდეს, რომ თუ თითონ არ გამოვქედეთ ჩვენი ბედი, სხვისი იმედით, ყოფნა თავის მოტყუილებაა. ნუ ვიქანებით „დადუმებულნი“ და ეგებ რამე გვეშველოს.

\* \* \*

... „ახსებთბისათვის ბრძოლაში ჩვენ გაცილებით უარეს ზირობებში ვიშუაფებით, ვიდრე გადმოსახლებაუღნი ოსმალეთის ქვეშევდრომნი, რადგანაც ჩვენთვის განსხვავებულ აუტანულ ზირობებს ქნაანო...“

სწორედ შავი ზღვის პირად, სოხუმის ოლქში მცხოვრები მეგრელი მოიჯარადრენი და მესაკუთრენი იმ თხოვნაში, რომელიც ამას წინად მეფის მოადგილეს მიართვეს. მართლაც რა მოსაზრება და ბრძნული პოლიტიკა უნდა ედვას სარჩულად მთავრობის ასეთ მოქმედებას?! რით უნდა აიხსნას ეს გასაოცარი მოვლენა, რომ უცხოელები ადვილად იძენენ აქ მიწებს, თუმცა კანონით ეგ შეუძლებელია და ადგილობრივ მკვიდრთ კი გადარეკას უქადიან და კიდევ ასრულებენ?!

ჩვენი აზრით, აქ ისევ მთავრობის საახალშენო პოლიტიკა სწარმოებს. უთუოდ კადნიერებასაც თავისი საზღვრები აქვს და არა სურთ მკვიდრნი აპყარონ და მაშინვე რუსეთიდან გადმოყვანილი ელემენტი დაასახლონ. ჯერ „უკანონოდ“ უცხოელებს ჩაუგდებენ ხელში და მერე კი „კანონიერად“ იმათ წაართმევენ და რუსეთიდან გადმოსულებს დაასახლებენ... Не мытьем—такъ катаньем

\* \* \*

სახალხო განათლების მოღვაწეთა კრებაზე მიუღლიათ შემდეგი რეზულიუცია:

„კავკასიის პარკელდაწეებათი სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულსა და სომხურ ენაზე (თათრებს რაღას ერჩოდნენ?!). სკოლას პარკელაში უნდა შეიტანონ სამშობლო ქვეყნის მწერლობა, საქართველოსა და სომხეთის ისტორია. თბილისში უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი...“

უკანასკნელი ფოსტით ამბავი მოვიდა რომ შინაგან საქმეთა მინისტრს მაკლაკოვს კრებისთვის შემოაუთვლია, კრება არა სასურველ ხასიათს იღებს და რაიმე უკმაყოფილების ასაცდენად ზომები მიიღეთო... კიდევ მოიძებნება ისეთი ახირებული ადამიანი, რომელიც მთავრობას უსაქმურობასა სწამებს?! რა უმადურები ვართ!

# ჩვენი დანაშაული



„უპატრონო ეკლესიას ეშმაკებულად ატყუებენ“-ან“-ო, ამბობს ხალხი და ეგ სიბრძნე სწორედ ჩვენს გავერანებულ საყდრებზე მართლდება. ამ დღეებში ჩვენს გაზეთებში ცნობა იყო, ილორის მონასტერი რუსულ მონასტრად უნდათ გადააკეთონო და ამ ცნობამ, ისევ და ისევ თვალწინ დაგვიყენა ჩვენი ძველი ხელოვნების, კულტურის და ძლიერების გაპარტახებული ნაშთები. ძლიერებისა მეთქი, ვამბობ, რადგანაც ცბაღია, ის ერი, რომელსაც მე-XII, მე-IX, მე-XII საუკუნეებში ასეთი ტაძრები და ციხე-სიმაგრეები უშენებია, ისე არ ყოფილა დაკნინებული და დაუძლურებული, როგორც ეხლა. საუკუნეთა განმავლობაში არა ერთხელ აოხრებულა ჩვენი ქვეყანა, არა ერთხელ დანგრეულა მისი ციხე-სიმაგრენი და ტაძრები, ბევრს სხვა და სხვა სჯულისა და მოდგმის ხალხს გაუთელიავს იგი, და თვით მე-XIX საუკუნის საზღვრებსაც გადმოსწვდა ალი ამ ისტორიული ცეცხლისა მაგრამ ის, რაც წარსულმა საუკუნოებმა ვერ მოგვისპს, ამ საუკუნემ შეუმჩნევლად გამოგვაცალა. და მაშინ, როდესაც ძარცვავდნენ ჩვენს ტაძრებს, იტაცებდნენ აუარებელ სიმდიდრეს, სად ვიყავით რას ვაკეთებდით, რამ შეგვიქცია და აგვიხვია თვალები?! შორს ნუ წავალთ, გადავავლოთ თვალი ამ ათიოდე წლის ისტორიას და ვნახოთ მიზეზი სასირცხვო მდუმარებისა.

ამ ათიოდე წლის განმავლობაში ბევრი რამ შეირყა, ბევრი რამ შეიცვალა; ბევრი გაფურჩქნელი იმედი ჩაჰკლა ჩვენს გულში ჩვენს თავზე გადარბენილმა ქარიშხალმა და ბევრს ოცნებას შეაკვეცა ფრთები. ეს იყო ხანა ხალხის გამოღვიძებისა და აღბორებებისა, როდესაც არა ჩვეულებრივად ვგრძნობდით, არა ჩვეულებრივად ვაზროვნებდით და ამ აღფრთოვანების დროს ბევრი რამ „წვრილმანი“ დაგვაფიწყდა. გასაკვირველიც არ არის, რადგანაც მაშინ შესაძლებლობის უმაღლეს წერტილამდე მივდიოდით. ბევრი შეცდომაც იყო, ბევრი დანაშაულიც მიგვიძღვის ქვეყნის წინაშე და აი, ერთი ასეთი დანაშაულია ჩვენ სიძველეთა და სიმდიდრეთა აბუჩად აგდება და უყურადღებობა. არ მოგვეგონებია მაშინ ისეთი „პატარა საკითხები“, როგორც მაგალითად ჩვენი ეკლესიის საკითხი, ჩვენი სიძველეთა ყურის გდება და თუ მოგვაგონდა გავჩუმდით კიდევ. ჩვენი სოციალისტური პარტიები

საერთოდ გულგრილად უცქერიან სარწმუნოების საკითხს. ჩვენს ს.-დემოკრატიას, რომელიც თითქმის ხუთმეტრი წელიწადი ლეგალურად და არა ლეგალურად დაუღალავად იღვწოდა ხალხის შეგნების გასაფრთხილებლად, სრულიად მეტად მიაჩნდა, თავიანთ სამწყსოს, პროლეტარიატის ინტერესების საზღვრებ გადაღმაც გადახედვა და, თუ ეგ „პროლეტარიატი“ სამშობლოში არ მოიძებნებოდა, - როგორც ღირსეული კოსმოპოლიტი იგი იქ დაიჩოქებდა, სადაც მას აღმოაჩენდა. პროლეტარიატის ვიწრო ინტერესებში ჩამხრჩვალა მისთვის ინტერესი ეროვნებისა, პიროვნებისა, და რაც პროლეტარიატის პირდაპირ საგრძნობ ინტერესს არ წარმოადგენს, იგი მას განუხილავლად უკუაგდებს.

ყოველივე „სარწმუნოება“ უმცირესობის ხელში ბატონობის და ექსპლოატაციის იარაღი იყო და მისი საფუძველიც ადამიანის უმეცრებაზე და შეცდომაზე ემყარება. საკმაოდ ბევრი ჭირი გამოუვლია კაცობრიობას და უზღვავე ენერჯია დახარჯულა რელიგიურ ასპარეზზე, რომ ჩვენს დროში სოციალისტურ პარტიებმა კიდევ ყური ათხოვონ და მხარი დაუჭირონ მას. რაც დრო გადის და ადამიანი ვითარდება, იმდენად ვითარდება მეცნიერებაც, რომელიც შეურიგებელი ანტიგონისტია სარწმუნოებისა და გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი დრო სრულიად გულგრილად ეკადებოდეს სარწმუნოებას და ყველა მის ატრიბუტებს. ს.-დემოკრატიაც, როგორც „მეცნიერულ სოციალიზმის“ ადვოკატი, გულგრილად უყურებს რელიგიურ საკითხს, მაგრამ ერთობ სუსტია და განუფრთხილებელი იგი ინტელექტუალურად, რომ ძირითად საკითხში თავისუფალი, სხვისაგან დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგას; მას ეშინია: ვაი თუ პარტიული მოსაზრებით შეუწყნარებელი რამ ჩავიდინო და ებლაუქება ერთხელ და უკანასკნელად გამოჭრილ ყალიბებს და ერთხელ ნაჩვენებ (ისიც სხვისაგან) ფარგალში მოქმედებს. რაკი მათ გაუგონიათ, რელიგია თავისუფლების იდეას აფერხებსო, იგი მას გადაჭრით ხელსა ჰკრავს, სრულიად არ ითვალისწინებს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არსებულ პირობებს და ივიწყებს რომ, ბაკუნინის თქმისა არ იყოს, არც ერთი შესამჩნევი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილება ისე არა მხდება, რომ ჯერ ანალოგიური ცვლილება არ მოხდეს თითო პიროვნებისა და საზოგადოების შეგნებაში არსებულ ფილოსოფიურ და რელიგიურ სფერაში.

შეიძლება ადამიანი გულგრილად ეპყრობოდეს სარწმუნოებას: შეუძლებელია სოციალისტურ პარტი-

ამ იკისროს სამღვდლოების და ეკლესიის ინტერესების დაცვა; შეუძლებელია მაგალითად ავტოკეფალიის დამცველებად, რომელიმე სოციალისტური პარტია გამოვიდეს (ეგ მხოლოდ სოციალისტური ფრთხალ თვალებს მოეჩვენება და მისი ცილის წამება მის სინიღისზე იქნება), მაგრამ ამ საკითხში ბევრნაირი ვარიაციები შეიძლება და მისი ერთბაშად, ერთიანად გადატყორცვა შეუძლებელია.

და დაჰხედეთ ერთი კუთხიდან მეორემდე ჩვენს გადახრუკულს და გავერანებულს სამშობლოს, გადაათვალიერეთ ჩვენი წარსულის ნაშთები და თუ დაკვირვებისა დასკვნის და უნარი კიდევ შეგვრჩენია, უნდა მივხვდეთ, რაოდენი ღვაწლი მიუძღვის ეროვნულ დიდებისა და ჩვენი არსებულ კულტურის წინაშე სარწმუნოების მოთხოვნისა.

ჩვენი მწერლობა და ჩვენი ხელოვნება იმ თავითვე მის მეოხებით აღმოცენებულა, განვითარებულა და პირდაპირ მიუტყვევებელი დანაშაულებაა ჩვენს ურწმუნოებას გულგრილად შევწიროთ, ხელი ვკრათ და მტერს მივუგდოთ ეს ეროვნული საუნჯე და სიძველენი. ისიც საკმარისია, რომ აუარებელი ნაშთი მარხია ჩვენი ძველი ქალაქების ქვეშ; ჩვენ რომ შეგნება გვქონდეს, ისინიც ისე გადათხრილი უნდა იყონ, როგორც ანის მიდამოები, რადგანაც ამ რამოდენიმე წლის წინად ინჟინერ ბეიერის ჩხირკედლობამაც მოულოდნელად ბევრი რამ თვალსაჩინო აღმოაჩინა, არქეოლოგიის მხრით. არც ს.-ფედერალისტთა პარტიას მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხებისათვის, რადგანაც ერთი მხრით, თეორეტიულმა მსჯელობამ და ს.-დემოკრატიასთან ბრძოლამ გაიტაცა და მეორე მხრით იმისაც კი ერიდებოდათ, ვაი თუ ბურჟუაზიული და კლერიკალური მისწრაფება დაგვწამონო. ასეთმა შეხედულებამ შეუწყო ხელი იმ პასიურ ხასიათის ფსიხოლოგიას ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ზოგნი იქამდისაც კი მიდიან, რომ ძლიერ უკვირდათ სომხების „თავხედობა“: ჩვენ კი არ წავგართვეს საეკლესიო სიმდიდრე და თვით თავისუფლება, მაგრამ არაფერი გვითქვამს და ამათ (სომხებმა) რა საქმე გააქირესო?! იმის ნაცვლად რომ ალტაცებით ვუცქიროთ და სიხარულით მივბაძოთ სასიცოცხლო ენერჯიით აღსავსე მეზობელ ერის ბრძოლას არსებობისათვის, ჩვენ პირიქით ჩვენს პასივობას ვახვეთ თავზე. ყოველ კუთხიდან გვესმის ამბავი, ესა და ეს ეკლესია დაანგრის, ესა და ეს მონასტერი „ვადაკეთეს“, ამა და ამ მონასტერს რუსულ მონასტრადა ხდიანო, ჩვენს განაწამებს ქვეყანაში თითქმის ყოველ კუთ-

ხეში მოიძებნება ეს ქობენის მონასტერი, ეს ქვათახევისა, ეს ილორისა და სვეტიცხოვლისა და თუ ამ ისტორიულ დიდებას ვგრე გულგრილად გავათვლინებთ, ვილას უნდა უთხრათ მერეღა სამღვრავი?! სამღვდლოება ჩვენი გულხელ დაკრეფილი სდუმს და თავის ბატონს მონური თავაზიანობით თვალეში შესცქერის. ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას ვერ შეუთანხმებია ერთმანეთთან სოციალიზმი და პატრიოტიზმი და ცალ-ცალკე ჯგუფი ერთმანეთს ფეხებში ედება. თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ ოცნებობს „პრესტიჟის აღდგენისთვის“ და არა სურს ისტორიის ხმას ყური ათხოვოს. ხალხი? ერი? ერი, როგორც ასეთი ერთი მთლიანი სხეული არ არსებობს. თუმცა იგი არ არსებობს, როგორც მთელი ერთეული იგი რთული კონგლომერატია, სხვა და სხვა ჯგუფებისაგან შემდგარი, რომელნიც თავისითაც ცალკე პიროვნებათაგან შესდგებიან. თითოეული ჯგუფი თავისთვის მიითლის, თავის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ მათი, ერთი მომენტისათვის, დროებით სოლიდარობით შეკავშირება არ არის შეუძლებელი, ოღონდ შეგნება იყოს იმისა, რომ ყველას ერთი და იგივე სამშობლო გვაქვს, რომ ყველა ისინი შემადგენელი ნაწილი არიან ერისა და ერთად უნდა იცავდნენ კიდევ ერთს ინტერესებს. შესწავლა, გაცნობა, შეთვისება წარსულისა და აწმყოსი და აქედან გამომდინარე სიყვარული და პატივისცემა უნდა გვაკავშირებდეს ერთუსულობით და არ მოგვინდება დღე მუდამ წუწუნი და იმის ჩივილი, რომ სხვებმა გავცვარცვეს, სხვებმა შეგვქამესო. ჩვენ იმდენად გადაქარბებული სოციალისტები ვართ, რომ სასირცხვოდ მიგვაჩნია ჩვენი ხელოვნების, ჩვენი ერის, ჩვენი ისტორიული ნაშთების გამოქომაგება და მაშ არც უნდა გვიკვირდეს, როდესაც სხვანიც აბუჩად გვიგდებენ. ამ ნიადაგზედ გახდა სწორედ შესაძლებელი ისეთი უკუღმართი მიმართულების აღმოცენება, რომელსაც „ქართული ს.-დემოკრატიზმი“ ეწოდება, რადგანაც სხვაგან არ მომხდარა ასეთი ქამური უარისყოფა თავისი მშობლისა, როგორც ჩვენთან. ბევრი რამ შეეძლო ს.-დემოკრატიას ეროვნულ თვითშეგნებისათვის გაეკეთებინა, რადგანაც ოც წელზე მეტია, რაც იგი ჩვენს ცხოვრებას მოევლინა- მაგრამ იგი მხოლოდ „ჩამონაჭრების“, „პროლეტარიატის დიქტატურის“, ბათუმში რვა საათის სამუშაო დღისა და სხვა ასეთ „სოციალისტურ საკითხების“ გადაწყვეტაში გაატარა. ჩვენ ისიც ვერ შეგვიგნია, რომ კულტურისა და

ცივილიზაციის გასამტკიცებლად პასივობა შეუწყნარებელია და თავის თავად ჰუმანიური თეორია ბოროტის კეთილით ძლევისა ჩვენთვის დამლუბველია. ჩვენი არსებობის წინააღმდეგ მომართულ ძალაგე უნდა დაფუყნოთ წინ და ეგ ძალაა სპეციალური ინტერესების შეგნება. სხვა ქვეყნებში, შეგნებულ ერში, თუ სადმე ისეთი კუნჭული გამოჩნდება, სადაც ვისმე როდისმე, ასე თუ ისე შესამჩნევს ადამიანს ფეხი დაუდგამს, ან წუთიერ ოცნებას მისცემია, ეს ადგილი ერის წმინდათა-წმინდათ გადაქცეულა და ცივს ნიავსაც კი არ მოაკარებენ; შილიონის სატუსალოს სანახავ ფასით მთელი სოფელიც კი შეინახება და ჩვენ ისიც ვერ მოგვიხერხებია, რომ ჩვენი ერის ოფლითა და სისხლით განბანილ კედლებს მძარცველის ხელი არ შეეხოს და არ გაანადგუროს. ნუ თუ შეუძლებელია დაარსდეს ან და ერთ ერთმა არსებულმა საზოგადოებამ თავს იდვას ამ სიძველეთა მოვლა, განახლება თუ არა, ის მაინც, რომ რაც არის ის არ განადგურდეს?! დრო არის როდისმე მაინც შევაჩეროთ ავაზაკური მარჯვენა. რამდენადაც დაბლა დავხრით ქედს, რამდენადაც მეტს ლმობიერებას გამოვიჩინთ, მით მეტის კადნიერებით გამოილაშქრებს გალაღებული მტერი. მართალია, ჩვენი სოციალისტური პარტიები ვერ გამოვლენ ავტოკეფალიის დამცველად, მაგრამ არაფერ შუაშია ეკლესია, სამღვდლოება, ავტოკეფალია, სადაც ჩვენ კულტურულ ნაშთებზე, ჩვენს არსებობაზე საქმე მიმდგარი და ამიტომ ისინი მოვალენი არიან ერის წინაშე თავი დასდონ მის ავლადიდებისათვის, რა ჩარჩოშიაც უნდა იყოს იგი. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ, არ ვიქნებით, არ იქნება ჩვენთვის არც კაცობრიობა, არც კულტურა, არც სოციალიზმი და ხომ თვით ქრისტესაც ვერ წარმოედგინა მოყვასის სიყვარული, თუ თავი არ გვეყვარებოდა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“-ო; ასე რომ მოყვასის სიყვარულის და საერთოდ საღ სიყვარულის კრიტერიუმში თავისი თავის ღირსების შეგნება და სიყვარულია.

სამსონ დადიანი.

### უკანასკნელი ამბები

**დეპუტატ გელოვანის საქმე.** გაზეთმა „ფიქრმა“ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომელნიც ჩრდილს აყენებენ დეპუტატ გელოვანის პიროვნებას. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია, როგორც თბილის-

ში, ისე ქუთაისში. სოციალ დემოკრატიულმა გაზეთებმა ყველამ გადაბეჭდა „ფიქრის“ წერილი. ფედერალისტების პრესა სდუმს ჯერ ჯერობით. ადგილობრივ ვერვინ ვერ ჰბედავს ამ ბრალდების უარყოფას პასუხს პეტერბურგიდან მოელოიან. როგორც შევიტყვეთ დებუტატ გელოვანს უკვე შეეკითხნენ მისი პოლიტიკური მეგობრები, რამდენად მართალია, „ფიქრისგან“ გამოქვეყნებული დოკუმენტები. ყველა დებუტატ გელოვანის პასუხს მოელოის.

**საციციანოს მთა.** ვინ არ იცის რა საბედისწეროთ გაუხდა ქართველ ხალხს ჩვენებური სათავადო მამულები? თითქოს გაჟიკულანო, ყველა ეს მამულები არა ქართველთა ხელში გადასვლას აპირებს. ერთ ასეთ საბედისწერო მამულს წარმოადგენს საციციანოს მთა, მდებარე მდიდარსა და სტრატეგიულ ადგილას—სივრცით 64 ათასი დესეტინა. ამ მამულს სამასამდე მფლობელი ჰყავს. აქამდის ეს მამული საკუთარის კანტორით იმართებოდა და როგორც ამ კანტორის ანგარიშებიდან სჩანს, შემოსავალი დიდი არ ყოფილა. ეხლა მფლობელებს გადაუწყვეტიათ უცბად გამდიდრება და გაყიდვას აპირებენ. ამ მამულს ერთ დროს განსვენებული მინისტრ-პრეზიდენტი სტოლიპინი ყიდულობდა ხაზინისთვის საკოლონიზაციო მიზნებისთვის, მაგრამ მაშინ ზოგიერთ შეგნებულ მხლებელთა მიზეზით ეს კომბინაცია ვერ მოხერხდა. ეხლა, როგორც შევიტყვეთ საციციანო მამულს ახალი მყიდველი გამოსჩენია, სომეხი მანთაშევი. მანთაშევის აგენტები მოსვენებას არ აძლევენ მამულის პატრონებს და სურთ როგორმე ჩაიგდონ ხელში ეს მდიდარი მამული. ამ აგენტებში სამწუხაროდ ქართველებიც ურევიათ, რომლებიც საკამისიო ფულით დახარბებულნი, მოწადინებულნი არიან პირველ მაისისთვის ყველა მონაწილეთა უფლებანი შეიძინონ. უკვე სამოც მონაწილესაგან უფლება შეუძენიათ.

**კახეთის რკინის გზა.** როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, რკინის გზის სამუშაოს ნარდად ამლებს გრინბერგს მოუთხოვია რკინის გზის გამგეობისაგან 400.000 მანეთი ზედმეტ ხარჯის ასანაზღაურებლად. გრინბერგის თხოვნა კახეთის რკინის გზის მთავარ ინჟინერმა, გამგეობამ და რკინის გზის ინსპექტორმა მ. ქიქოძემ უსამართლოდ იცნეს და თხოვნაზედ უარი უთქვამთ. მაგრამ გრინბერგს უეცრად კომაგი გამოსჩენია—სახელმწიფო კონტროლიორის სახით. კონტროლიორმა უცნაუ-

რად და სრულიად მოულოდნელად მხარი დაუჭირა გრინბერგს და კახ. რკ. გზისაგან მოითხოვს გრინბერგისათვის ამ ხარჯის ანაზღაურებას. ასეთი ახირებული ქცევა ბ. ლუნტკოვსკის ბევრში გამოიწვევს არა სასიამოვნო ექვებს. ჩვენ—სახელმწიფოებულნი ვართ, რომ ბ. ლუნტკოვსკი ამ საშინელ ექვებს განფანტავს, მხარს დაუჭერს კახეთის რკინის გზის გამგეობის სამართლიან გადაწყვეტილებას და კვერს არ დაუკრავს გრინბერგის გაღვიძებულ მადას.

რედაქციას არ მოუვიდა, მაგრამ საუბედუროდ მაინც ნახა აგრედვე, გამოცემა ვინმე „რეულო“-სი, —თარგმანი ქართველ პოეტების ნაწარმოებითა. უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთს თავხედობას მარტო რეული ვინმე თუ გაჰბედავდა, თორემ ქკუად მყოფელი სირცხვილისაგან დაიწვებოდა. უნიქო, უკბილო უნდა იყვეს ადამიანი, რომ განგებ ჩაუჯდეს, ჩაჰკირკიტებდეს მთელს წიგნს და საუკეთესო ნაწარმოებნი არამცთუ სულისა და ფორმისაგან გაძარცოს, არამედ ვინაობა და სადაურობა დაუკარგოს. „რეულო“ გვეუქრება: შემდეგ ტომებსაც გამოვცემო. ჩვენში იტყვიან: გიჟი თავისუფალიაო, მაგრამ თავისუფლებასაც რამე საზღვარი აქვს, გვგონია.

## ცოტა რამ ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაზე

სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც რომელიმე ახალი ტერმინის ხმარება ჩვენს ლიტერატურაში კამათს იწვევს ხოლმე, რასაკვირველია თუ ამ კამათმა კინკლაობის ხასიათი არ მიიღო და თუ ის ეინიანი „ჩემი სჯობსობით“ არ არის გამოწვეული. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სიტყვა „მაცივარის“ შესახებ თითქმის ყველა ალაპარაკდა ჩვენში. შეიძლება ბევრი მოიპოვებოდეს ჩვენში ქართული ენის მცოდნე, მაგრამ ჩვენის აზრით მარტო ქართული ენის ცოდნა არა კმარა რომელიმე ახალ ტერმინის შესამუშავებლად; განსაკუთრებით საჭიროა თვით იმ საგნის ცოდნა და გაგება საიდანაც ტერმინს ვიღებთ და ვაქართულებთ. თითქმის უმეტესობას დაავიწყდა ის, რომ გარდა რუსულ სიტყვა ХОЛОДИЛЬНЫЙ-სა მხედველობაში იყო მისაღები ფრანგული სიტყვა frigorigifque, რადგანაც სიცივის ინდუსტრია საფრანგეთში შემუშავდა და პირ-

ველი სახელი ფრანგულად უწოდეს ამ გამოგონებას. ფრანგული სიტყვა frigorifique შემდეგი ლათინურ სიტყვებიდან არის ნაწარმოები: frigus - oris-სიტყვე, ფრანგულად-froid და ზმნა fa-ere-კეთება, გრანგულად-faire-დან. რუსებმა ფრანგული სიტყვა frigorifique-ს უწოდეს **холодотворный** (ფიზიკაში) და იმავე სიტყვას, როდესაც ის ვაგონს ანუ ორთქლმავალს ეხებოდა, დაუძახეს **холодильный**. მაშასადამე ჩვენთვისაც მხოლოდ ორი გზა არსებობს ამ ტერმინის შესამუშავებლად: ან რუსების მიბაძვით ვაწარმოვით სიტყვა ან და ფრანგების მიბაძვით. თუ რუსებს მივბაძვით, მაშინ ექვს გარეშეა ის, რომ ყველაზე უფრო მკაფიოდ **холодильный**-ს ქართულად გამოხატავს „მაცივარი“, როგორც ამას ასაბუთებს პატივცემულ „კლდის“ თანამშრომელი, ბ. ამერი ჩვენ მხოლოდ შეგვეძლო. **თუ კი ეს არ ეწინააღმდეგებოდა ქართული ენის ძირითად კანონებს**, შეგვეკვეცა სიტყვა მაცივარი და გვეხმარა **მაცივარი**. ჩვენის აზრით სიტყვა **მაცივი** სწორედ იმავე ცნებას გამოხატავს, რასაც მაცივარი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ **მაცივი** უფრო მოკლეა და მაშასადამე უფრო მარჯვეც.

გარდა ამისა რაც უფრო მოკლე და შეკვეცილი იქნება სიტყვა, რომელიმე ცნების გამოხატავად მით უფრო ხელსაყრელი და სასურველია ამ სიტყვის ხმარება; ჩვენ მრავალი მზგავსი შეკვეცილი სიტყვა მოგვებოება, მაგალითად არითმეტიკაში სამრავლი, **მამრავლი**; სამცირი, **მამცირი** და სხვები.

თუ კი ფრანგებს მივბაძვით, მაშინ უნდა ავიღოთ სიტყვა **ცივი** და ზმნა **(გა)კეთება** და ამ ორ სიტყვიდან უნდა ვაწარმოვით ის, რაც გამოხატავს ფრანგების frigorifique ს. აი სწორედ ამ შემთხვევაში ქართულ ენის ღრმა მკოდნეთ ვვალემათ ისეთი სიტყვის გამოჩახვა, რომელიც ერთ და იმავე დროს გამოხატველი იქნება (სი)ცივის და (გა)კეთების და თანაც მოკლე და ლამაზი.

უკამათოდ ახალ სიტყვების ხმარებამ ჩვენის აზრით დიდი ზიანი მოუტანა მეცნიერულ ტერმინოლოგიის შემუშავებას ჩვენში; მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: ჩვენდა სავალალოდ ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა სიტყვა ელექტრონი \*)

\*) ელექტრონი — სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს უვითელ ქარს, სწორედ ამ სიტყვიდან წარმოსდგა უველა ენაზე ელექტრონის სახელი, რადგანაც ელექტრონის ერთ ერთი თვისება, სახელდობრ „მომზიდველობა“ ბირველად უვითელ ქარვსზე შეაძინიეს.

— ელექტრობის აღსანიშნავად; ჩვენის აზრით ეს შეუსაბამო ტერმინია, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა შესწორდეს და აი რატომ: ლავუაზის შემდეგ თითქმის მეოცე საუკუნეში მტკნარი განუყოფელად ითვლებოდა. მაგრამ დღეს მეცნიერებამ დასკვნამდე მივიდა, რომ ატომიც იყოფა. ნაწილდება და ეს ნაწილები ჰკარგავენ უმეტეს თვისებას თავიანთ მატერიალობასა, რადგანაც მათი მასა ცვალებადია მათ სისწრაფესთან ერთად. კატოდიურ სხივებმა და რადიოაქტიობამ მეოცე საუკუნეში დაგვანახა, რომ ატომი არ არის უკანასკნელი საფეხური სხეულის გაყოფა-განაწილება, არამედ თვით ატომიც იყოფა, ნაწილდების **ელექტრონად**, რომელიც წარმოადგენს მასას და აბლოვებით ათასჯერ ნაკლებს, ვიდრე ატომი. მოკლედ რომ ვსთქვათ, ატომი შესდგება ნაწილებისაგან, რომლებსაც **ელექტრონებს** ეძახიან. **ელექტრონი** ატომის ელემენტია გაყდენთილი ელექტრობით; ელექტრონი ელექტრობის ატომია თუ შეიძლება ასე ითქვას: ელექტრონი, თუ გნებავთ, რაღაც საშუალოა მატერია და ეთერ შორის; ბოლოს ელექტრონი შემადგენელი ელემენტია ყოველ მარტივ სხეულთა ატომისა. ენერგია, რომლითაც ეს შემადგენელი ელემენტი (ელექტრონი) არის აღჭურვილი **ელექტრობაა**, რომელსაც ფრანგულად ეძახიან **electricité**, ინგლისურად **electricity**, გერმანულად **elektrizität** და რუსულად **Электричество**-ს. მაშასადამე **ელექტრობა** ენერგიაა, როგორც სითბო, სინათლე და სხვები; ელექტრობა — ელექტრონთა მოძრაობაა. ერთის სიტყვით ყველა ენაზე ამ ორ სიტყვას შორის დიდი განსხვავებაა, რადგანაც სულ სხვა და სხვა ცნებას გამოხატავს, მაშასადამე საჭიროა ქართულ ენაზედაც რამე განსხვავება იყოს და ამისთვის ფრანგების **electricité**, ინგლისელების **electricity**, გერმანელების **elektrizität** და რუსების **Электричество**-ს ჩვენ უნდა დაუძახოთ **ელექტრობა**; **ელექტრონი** კი, როგორც ყველა ენაზე, ქართულზედაც დაერქმევა ატომთა ნაწილებს.

თუ ანგარიში გაუწიეთ ამ ორ სიტყვის განმარტებას, მაშინ სრულებით გაუგებარი ხდება ჩვენთვის მრავალი ტერმინი, რომელსაც საუბედუ-

როდ დღესაც ხმარობენ ჩვენში: „ელექტრონის ძალა“, „ელექტრონის განათება“ და სხვები. ამ ტერმინების მაგიერ ჩვენის აზრით უნდა ვიხმაროთ: „ელექტრული ძალა“, „ელექტრობის მავთული“, „ელექტრული განათება“ და სხვები. რაც შეეხება სიტყვებს „ელექტრონის“ და „ელექტრონული“ რასაკვირველია ისინიც დარჩებიან ქართულ ლიტერატურაში, ხოლო არა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც დღეს. „ელექტრონის“ და „ელექტრონული“ ნაწარმოებია სიტყვა ელექტრონიდან, მაშასადამე ქართული „ელექტრონის“ ფრანგულად ნიშნავს d'electron და რუსულად Электрона; ქართული „ელექტრონული“ ფრანგულად ნიშნავს electronique-ს და რუსულად Электронический. ისეთი ტერმინი როგორც „ელექტრონის ტოკი“ (რომელსაც პატივცემული კიტაბაშიძე ხმარობს ერთ-ერთ თავის წერილში) არაფრით არ განირჩეოდა „გვოზდის ლუსმანი“ და „მალატოკის ჩაქუჩი“-დან. მართალია სიტყვა „ელექტრონი“ შეუსაბამოდ იყო შამოსული ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ „ტოკი“ რა უბედურებაა?

ფრანგული eaurant, რუსული ТОКЪ, ქართული ნაკადი-ა და ხშირადაც არის ნახშირი ჩვენს ლიტერატურაში. ასე რომ ჩვენის აზრით სასურველი და სასარგებლო იქნებოდა „ელექტრონის ტოკი“-ს მაგიერ ვიხმაროთ **ელექტრული ნაკადი**.

შეუსაბამოდ არის თარგმნილი სიტყვა „ნახშირბადი“-ც ნახშირმანის მაგიერ. რუსებმა ნახშირიდან სხვა სიტყვა ვერ აწარმოეს და წყალბადი, მჟავბადის მიმზგავსებით, ფრანგულ carbon ს უწოდეს углеродъ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ფრანგულ სიტყვა carbon-თან **ბადს ანუ მბადს** სრულებით ადგილი არა აქვს. მართალია ფრანგული სიტყვა carbon-ი ლათინურ სიტყვიდან არის ნაწარმოები: carbo - omis-ნახშირი, მაგრამ მიუხედავად ამისა **ბადს** მინც ვერ იბოვით. ჩვენ მთარგმნელებსაც არ შეუწუხებიათ თავი და გადმოუღივებთ პირდაპირ რუსულიდან „ნახშირბადი“, მაშინ როდესაც მშვენიერი სიტყვა არსებობს ქართულ ენაზე ფრანგულ carbon-ის გამოსახატავად. ეს სიტყვა არის **ნახშირმანი**, რომელიც თუ არ ვცდები განსვენებულ ალ. კვერკველაძემ იხმარა პირველად

„ქვეყნიერების მასალაში“. სიტყვა **ნახშირმანი** სწორედ ისეა ნაწარმოები, როგორც **შაბიამანი** და ჩვენის აზრით უპირატესობაც ამ სიტყვას უნდა მივანიჭოთ. კუროზულად არის ნაწარმოები ქართულ ქიმიის სიტყვა „კაჟი“ მაგალითად ბატონი ვასილ რუხილაძე, როსკოს ქიმიის თარგმანში ფრანგულ silicium ს უწოდებს „კაჟს“. კუროზი მდგომარეობს შემდეგში: რუსებმა ფრანგული ქიმიური ტერმინი silicium აწარმოეს სიტყვა кремнь-იდან, რასაც ფრანგულად ეძახიან silex-ს და ქართულად **კაჟს ანუ ტალს**: პატივცემულ მთარგმნელს კი ვერ უწარმოებია ქართული კაჟი ანუ ტალიდან სხვა რომელიმე სიტყვა და ამისთვის silicium-ი მონათლავს „კაჟათ“. ასე რომ ერთ და იმავე დროს ბატონ ვასილ რუხილაძესთვის ფრანგების silex-ი, რუსების кремнь კაჟია და ფრანგების silisium რუსების кремний—ისევ ის კაჟია. ისიც მიიღეთ მხედველობაში პატივცემულო მკითხველო, რომ ქიმიის ფრანგების silicium, რუსების кремний მარტივი სხეულია და silex-ი ანუ кремнь ი რთული სხეული. ჩვენის აზრით სიღყვა silicium-ი რომ გადმოვაქართულოთ, ისევ მეორე სიტყვას უნდა მივმართოთ. სახელდობრ ტალს, მით უფრო რომ silicium ქართულად უკვე იყო ნახშირი, როგორც **ტალმანი**. სიტყვა **ტალმანი** არც ერთ კუროზს არ ბადავს და გამოსათქმელადაც შედარებით ლამაზია.

დასასრულ სასურველი და სასარგებლო იქნებოდა ყოველ ახალ ნაწარმოებ სიტყვების და ტერმინების გარჩევას, რომელიმე ჩვენი გაზეთი განსაკუთრებულ სვეტებს დაუთმობდეს, რომ მით ქართულ ენას ავაშოროთ „გვოზდის ლუსმანი“, „მალატოკის ჩაქუჩი“ და „ელექტრონის ტოკი“.

ქ. შარიზი  
7 იანვარი 1914 წ.

ე. ალშიბაია.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

# გ ა ნ ც უ ა დ ე ბ ა ნ ი

ქართული  
ბიბლიოთეკა

## ხეხილეობის გასხვლა

ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

უ მ გ ი რ დ ე ბ ი ს მ ი ლ ე ბ ა .

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მეხილეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მეხილეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.

Тифлисъ питомники С. С. Хетагури.

1894 წლიდან

1913 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ ვ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:  
№ 73 და 3-51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა № 63  
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.

